



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

გამოცდების ჩატარების წესი

თბილისი,
2022 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1.1. ეს წესი მოქმედებს როგორც უმაღლეს, ასევე სასერტიფიკატო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

1.2. ეს წესი არეგულირებს შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) გამოცდების ჩატარების წესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

1.3. გამოცდის მიზანია სტუდენტის არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, არამედ სტუდენტის მიერ ამ ცოდნის გამოყენების უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აღწერისა და შეფასების უნარების შემოწმება, რაც ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ემსახურება საგამოცდო პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

1.4. უნივერსიტეტის მიზანია, თითოეული სტუდენტი მთელი სემესტრის მანძილზე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სტუდენტის ცოდნის დონე განიცდიდეს პროგრესს თითოეული კვირის განმავლობაში. მიღწეული პროგრესის გაზომვის ფორმებს წარმოადგენს ქვიზი, ტესტირება, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაცია, ესე, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტი და შესაბამისი საგნის სილაბუსით გათვალისწინებული სხვა შუალედური შეფასების ფორმები.

1.5. უნივერსიტეტი გამოცდებს ატარებს ამ წესის დებულებათა შესაბამისად და მისი თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია განუხრელად დაიცვას ამ წესის მოთხოვნები.

1.6. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია სტუდენტის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი ზომები.

მუხლი 2. გამოცდების სახეები და მათი ჩატარების ფორმა

2.1. უნივერსიტეტის სტუდენტის ცოდნა სემესტრის განმავლობაში ფასდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების სახით. შეფასების ფორმებია: ტესტი; ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია; ესე; ინდივიდუალური ან

ჯგუფური პროექტი და სხვა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაინიშნოს დამატებითი გამოცდა. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედურ შეფასების ფორმა. ფინალური გამოცდის შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება გადაბარების ვადაში. გამოცდის თარიღი დგინდება საგამოცდო ცენტრის მიერ.

2.2. სტუდენტი ფასდება წერითი ან/და ზეპირი ფორმით.

2.3. წერითი შეფასება ტარდება ელექტრონული ფორმით, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში - თითოეული სტუდენტისათვის პერსონალურად გამოყოფილ კომპიუტერთან მუშაობის გზით ან წერით ფურცელზე. გამოცდების მსვლელობის ჩაწერა ხორციელდება კამერის მეშვეობით.

2.4. წერითი შეფასება ტარდება:

2.4.1. „დახურული წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს ეკრძალება რაიმე სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენება;

2.4.2. „ღია წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს კონკრეტულად მიეთითება შესაბამისი საგნის ლექტორის მიერ, თუ რა სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენების უფლება აქვს.

მუხლი 3. საგამოცდო განრიგის შედგენა და გამოცდების დაგეგმვა

3.1. საგამოცდო განრიგი

3.1.1. საგამოცდო ცენტრი ადგენს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შუალედური, ფინალური და გადაბარებების გამოცდების განრიგს. ცხრილები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე (www.freeuni.edu.ge).

3.1.2. შუალედურ შეფასებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საგამოცდო ცენტრს აწვდის სკოლის დეკანი/ადმინისტრაცია, სემესტრის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

3.1.3. ფინალური გამოცდების დაწყებამდე 5 კვირით ადრე საგამოცდო ცენტრი ადგენს ფინალური გამოცდების ნუსხას და აცნობს სკოლის დეკანებს და კოორდინატორებს.

3.1.4. ახალი კორონა ვირუსის (covid 19) ეპიდემიასთან დაკავშირებით საგამოცდო ცენტრის მიერ დასკვნითი და გადაბარების გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე გამოცდების განრიგი ეგზავნება სკოლის დეკანებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, სარეგისტრაციო ოფისს, აგრეთვე, უნივერსიტეტის სასწავლო სამსახურს - ზემოაღნიშნული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით.

3.1.5 გამოცდა ტარდება საგამოცდო ცხრილით დანიშნულ დროს. გამოცდის განმეორებით დანიშვნა/ჩაბარება არ ხდება, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რომელსაც ადგენს სკოლის დეკანი განმეორებითი გამოცდის თარიღის საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.1.6. დამატებითი გამოცდის დანიშვნა რეგულირდება შესაბამისი საგნის სილაბუსის მიხედვით. გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის მიზნით სტუდენტი ვალდებულია დეკანს წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გაცემული ცნობა. ცნობაში მითითებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ფაქტობრივი მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეკანი ცნობას არ მიიჩნევს გამოუცხადებლობის საპატიოდ შეფასების საფუძვლად. სტუდენტის მიერ წარდგენილი ცნობის ნამდვილობა ექვემდებარება დეკანის/საგნის კურატორის/კოორდინატორის მიერ გადამოწმებას.

3.1.7. გამოცდის გადატანა ტექნიკური ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, შესაძლოა მოხდეს გამოცდის ჩატარებამდე არანაკლებ ორი დღის ვადაში.

3.1.8. როგორც წესი, შუალედური შეფასება ტარდება შესაბამისი ლექციისათვის განკუთვნილ დროს. თუ ქვიზი ინიშნება არასალექციო/არასასემინარო პერიოდში, საგამოცდო დროს ადგენს შესაბამისი სკოლის კოორდინატორი, საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.1.9. შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საგნის სილაბუსით.

3.1.10. ახალი კორონა ვირუსის (covid 19) ეპიდემიასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულების 6.7 პუნქტის შესაბამისად, შუალედურ და/ან ფინალურ

გამოცდაზე, საპატიო მიზეზით და წინასწარი შეტყობინების პირობებში, გასვლის შეუძლებლობისა და სკოლის/ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით გამოცდების აღდგენის ფორმად შესაძლებელია განისაზღვროს ინდივიდუალური ზეპირი ან წერიტი გამოკითხვა.

3.2. საგამოცდო საკითხები

3.2.1. საგნის ლექტორი, საგამოცდო საკითხებს და ღია წიგნის შემთხვევაში გამოსაყენებელ ლიტერატურას, საგამოცდო ცენტრს აწვდის შუალედური და გადაბარებების გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო ფინალური გამოცდის შემთხვევაში 1 კვირით ადრე, ამ წესის #1 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

3.2.2. ლექტორი ვალდებულია თითოეული სესიისთვის შეადგინოს საგამოცდო საკითხების რამდენიმე განსხვავებული ვერსია, რათა საგამოცდო ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს შეფასების პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარება. დამატებითი გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს წარუდგინოს საკითხების განსხვავებული ვერსია.

3.2.3. საგნის ლექტორი საგამოცდო ფაილის დასახელებას იწყებს ლათინური F-ით (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აღსანიშნავად), შემდეგ აწერს საგნის დასახელებას, , საკითხის ვარიანტს, ლექტორის სახელსა და გვარს.

3.3. სტუდენტთა სიები:

3.3.1. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს, სემესტრის დასაწყისში მიაწოდოს ინფორმაცია საგნების უწყისებში სტუდენტთა სიების ფორმირების დასრულების შესახებ.

3.3.2. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისი ვალდებულია, დასკვნით გამოცდამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო გადაბარებების გამოცდების შემთხვევაში დანიშნულ გამოცდამდე 2 სამუშაო დღით ადრე საგამოცდო ცენტრს დაუდასტუროს საგნების უწყისებში შედეგების აღრიცხვა.

მუხლი 4. რეგისტრაცია

4.1. საგამოცდო რეგისტრაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული სახით გამოცდამდე არაუგვიანეს 3 საათით ადრე, ასევე ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრთან განთავსებულ მონიტორზე.

4.2. სტუდენტი ვალდებულია: გაეცნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას (საგამოცდო ადგილი და ვარიანტი).

4.3. სტუდენტი ასევე ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა ტექნიკური თუ სხვა მიზეზით რეგისტრაციის ინფორმაცია არ გაეგზავნოს მეილზე, რაც არ ნიშნავს, რომ გამოცდა არ ტარდება.

4.4. ახალი კორონავირუსის (covid 19) ეპიდემიასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია სტუდენტი გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრის შესასვლელთან გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე.

4.5. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, პასპორტი), რომელიც იძლევა სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას. წარმოდგენილი საბუთი არ უნდა იყოს ვადაგასული.

4.6. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს დროულად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოცდაზე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან გამოცხადდება მაქსიმუმ 10 წუთის დაგვიანებით იგი შესაძლოა, გამოცდის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაშვებულ იქნეს გამოცდაზე, თუმცა მას არ მიეცემა დამატებითი საგამოცდო დრო.

4.7. თუ ბაკალავრიატის სტუდენტი გამოცდაზე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან გამოცხადდება საგამოცდო ცხრილში გამოცდის დაწყების მითითებული დროიდან 10 წუთის შემდეგ იგი გამოცდაზე არ დაიშვება და სტუდენტი შეფასდება 0 ქულით. ეს საკითხი მაგისტრატურის პროგრამების შემთხვევაში განისაზღვრება მაგისტრატურის დებულებით.

მუხლი 5. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის ქცევის წესი

5.1. სტუდენტი ვალდებულია:

- 5.1.1. გაეცნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას (გამოცდის საგანი, დრო, ადგილი და ვარიანტი);
 - 5.1.2. მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელ.მოწყობილობა შეინახოს საგამოცდო ცენტრში ამ მოწყობილობისთვის განკუთვნილ ადგილას;
 - 5.1.3. მთელი გამოცდის განმავლობაში, სტუდენტისათვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას განათავსოს პირადობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი;
 - 5.1.4. სტუდენტი ვალდებულია იმუშავოს რეგისტრაციით მინიჭებულ ვარიანტზე;
 - 5.1.5. გამოცდის სახის გათვალისწინებით, თან იქონიოს ლექტორის მიერ დაშვებული/ მითითებული ყველა საჭირო ინვენტარი და მასალა (მაგალითად: წიგნი; კალამი; კალკულატორი; ა.შ.);
 - 5.1.6. სტუდენტი ვალდებულია კომპიუტერის დესკტოპზე მისი მეილის პრეფიქსით დასათაურებულ ფოლდერში შეინახოს საგამოცდო ნამუშევარი. ხოლო ფოლდერს არ შეუცვალოს დასათაურება;
 - 5.1.7. საგამოცდო ცენტრი არ დატოვოს გამოცდის დაწყებიდან 10 წუთის განმავლობაში;
 - 5.1.8. 5.1 მუხლის პუნქტების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი ფასებდა 0-ით.
- 5.2 გამოცდაზე აკრძალულია:
- 5.2.1. არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
 - 5.2.2. ქუდით/თავსაბურთით (გარდა რელიგიური რწმენით განპირობებული გარემოებების, რაზეც წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი, რათა დაუშვას გამონაკლისი), ყურსასმენებით, ქურთუკით და ნოუთბუკით გამოცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს ჩამოერთმევა ზემოაღნიშნული ნივთები;
 - 5.2.3. სტუდენტმა საგამოცდო ცენტრში მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან არ უნდა იქონიოს მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელ.მოწყობილობა, ასევე ყველა აქსესუარი, რაც ხელს უშლის სტუდენტის მონიტორინგს საგამოცდო ცენტრის მიერ

წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს ერთმევა გამოცდის გაგრძელების ან/და დასრულების უფლება და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური წარმოება, სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევაზე, რაც გულისხმობს აკადემიურ თაღლითობას/არაკეთილსინდისიერებას.

5.2.4. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი დამხმარე ჩანაწერების გამოყენება, სხეულზე დროებით გაკეთებული წარწერები (ჩანაწერები); ასევე, სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა; წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური წარმოება, სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევაზე, რაც გულისხმობს აკადემიურ თაღლითობას/არაკეთილსინდისიერებას.

5.2.5. სხვა სტუდენტთან გადალაპარაკება, მისთვის კარნახი, გადაწერის ან რაიმე დაუშვებელი დამხმარე მცდელობა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური წარმოება, სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევაზე, რაც გულისხმობს აკადემიურ თაღლითობას/არაკეთილსინდისიერებას.

5.2.6. დახურული წიგნის მეთოდით შეფასების ჩატარებისას, სტუდენტმა არ იქონიოს სამუშაო მაგიდასთან წიგნი, კონსპექტი, ტექსტი, ჩანაწერი, ჩანახატი, სხეულზე დროებით გაკეთებული წარწერები (ჩანაწერები), ელექტრონული და სხვა სახის ჩანაწერები. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური წარმოება, სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევაზე, რაც გულისხმობს აკადემიურ თაღლითობას/არაკეთილსინდისიერებას.

5.2.7. თუკი გამოსაცდელი დატოვებს საგამოცდო სივრცეს გამოცდის მიმდინარეობის დროს, ის კარგავს უფლებას დაბრუნდეს იმავე გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო სივრცეში;

5.2.8. დაუშვებელია სამუშაო მაგიდის მიტოვება საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთან შეთანხმების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას. .

5.2.9. დამკვირვებლისათვის შეურაცხყოფის მიყენება, დამკვირვებლის მოთხოვნისადმი/მითითებისადმი დაუმორჩილებლობა, ხმაური და გამოცდის მსვლელობის სხვაგვარი შეფერხება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური წარმოება.

5.2.10. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელებული

ფაქტობრივი გარემოებების შეგროვების (ფოტო-ფიქსაცია და ა.შ.) პროცესისთვის ხელის შეშლა, დაუმორჩილებლობა.

5.2.11. გამოცდის მსვლელობის დროს დოკუმენტის შრიფტის 12-ზე მეტი ზომით, ხოლო მასშტაბის გაზრდა 100%-ზე მეტი ზომით, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური წარმოება. თუ სტუდენტს აქვს მხედველობის პრობლემა უნდა აცნობოს საგამოცდო ცენტრს წინასწარ, რისთვისაც მას გამოეყოფა სპეციალური ადგილი;

5.2.12. ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც შეიძლება ჩაითვალოს დაუმსახურებელი და არაობიექტური შეფასების მიღების საფუძველად, სხვისთვის ხელის შეშლად, შეცდომაში შეყვანად. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური წარმოება.

5.2.13. ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც იკრძალება სტუდენტის ეთიკის კოდექსით და რომლის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმს. გაფორმებული ოქმის საფუძველზე იწყება დისციპლინური

წარმოება დასტუდენტის მიმართ გამოიყენება სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი სანქცია;

5.2.14. დაუშვებელია სათადარიგო ფურცლის გატანა საგამოცდო ცენტრიდან.

მუხლი 6. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი

6.1. დამკვირვებელი ვალდებულია:

6.1.1. შეადგინოს საგამოცდო ცხრილი;

6.1.2. მოამზადოს სტუდენტთა სიები რეგისტრაციისთვის;

6.1.3. უზრუნველყოს საგამოცდო საკითხების შეგროვება ამ წესით დადგენილ ვადებში;

6.1.4. გამოცდის დაწყებამდე გააასუფთავოს ყველა კომპიუტერი ზედმეტი ფაილებისგან;

6.1.5. აუცილებლობის შემთხვევაში და გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს დაურიგოს სათადარიგო ფურცლები, დააწეროს მაგიდის ნომერი და ხელი მოაწეროს მათ;

6.1.6. უზრუნველყოს სტუდენტთა დისციპლინა ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, შეადგინოს ოქმი ამ წესის #2 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მიაწოდოს ლექტორს, სკოლის დეკანს და კოორდინატორს;

6.1.7. გამოცდის დასრულებამდე არ დატოვოს საგამოცდო ცენტრი უფროს დამკვირვებელს/საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე;

6.1.8. ამ წესის რომელიმე დებულების ან სტუდენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყონებლივ აცნობოს უფროს დამკვირვებელს/საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს და მიიღოს ამ წესით დადგენილი რეაგირების ზომები;

6.1.9 გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს მიაწოდოს სტუდენტთა ნაშრომები;

6.1.10 გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს გადაუგზავნოს სტუდენტთა დასწრების ელექტრონული სია;

მუხლი 7. გამოცდების შედეგები

7.1. გამოცდის შედეგებს სტუდენტი ეცნობა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (EMIS).

7.2 სტუდენტი უფლებამოსილია საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან.

7.3 სტუდენტი უფლებამოსილია გააპროტესტოს შეფასება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. გამოცდების პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს გამოცდების ჩატარების წესის ცვლილებებს. წესში შეტანილი ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

8.2. გამოცდების ჩატარების წესის რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.

საგამოცდო ბილეთი

დანართი #1

საგანი	
პროგრამა	
კურსი	
ჯგუფი/ჯგუფები	
ლექტორი	
გამოცდის ფორმატი (მონიშნეთ)	
<input type="checkbox"/> დახურული წიგნი	
ღია წიგნის შემთხვევაში მონიშნეთ	<input type="checkbox"/> ელექტრონული მასალა <input type="checkbox"/> წიგნები
<p>გამოცდის კომპიუტერში წერის შემთხვევაში, მონიშნეთ მხოლოდ ის კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფა (ერთი ან რამდენიმე), რომელიც უნდა გამოიყენოს სტუდენტმა.</p> <p><i>ნაშრომების შეგროვება და მოწოდება მოხდება, თქვენ მიერ მითითებული პროგრამის გაფართოების მიხედვით.</i></p>	<input type="checkbox"/> Word (*.docx; *.doc) <input type="checkbox"/> Excel (*.xlsx; *.xls) <input type="checkbox"/> PowerPoint (*.pptx; *.ppt) <input type="checkbox"/> Oracle Java (*.java) <input type="checkbox"/> IBM SPSS Statistics 20 (*.sav) <input type="checkbox"/> SPSS Statistics 17.0 (*.spv; *.sav) <input type="checkbox"/> ISIS 7 Professional (*.DSN) <input type="checkbox"/> Multisim 12.0 (*.ms12) <input type="checkbox"/> ARES 7 Professional (*.LYT) <input type="checkbox"/> Flowcode V4 for AVR (*.fc_avr) <input type="checkbox"/> logisim-generic-2.7.1 (*.circ) <input type="checkbox"/> GeoGebra (*.ggb) <input type="checkbox"/> Matlab 2016a (*.m; *.mat) <input type="checkbox"/> EpiInfo (*.prj) <input type="checkbox"/> LCD Vision <input type="checkbox"/> Microsoft Visual C++ 2008 Express Edition (*.vcproj) <input type="checkbox"/> Codevision AVR (*.c) <input type="checkbox"/> PHStat2 (*.xlsx) <input type="checkbox"/> Kawa (*.*) <input type="checkbox"/> Dev-C++ (*.cpp; *.cc; *.cxx; *.c++; *.cp; *.c) <input type="checkbox"/> Visual Studio Code (*.cpp; *.c; *.java; *.sql;

	<p>*.jsx; *.js)</p> <p><input type="checkbox"/> Visual Studio 2015</p> <p><input type="checkbox"/> Gcc (*.c; *.cpp; *.java)</p> <p><input type="checkbox"/> Eclipse IDE 9 (*.txt; *.cpp; *.c; *.java; *.sql; *.jsx; *.js)</p> <p><input type="checkbox"/> Notepad ++ (*.txt; *.cpp; *.c; *.java; *.sql; *.jsx; *.js)</p> <p><input type="checkbox"/> სხვა _ (გაფართოება)</p>
<p>თუ სტუდენტი ერთდროულად მუშაობს რამოდენიმე პროგრამაში და საბოლოო სახით, საჭიროა ნაშრომების დაარქივება, გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი გრაფა.</p>	<p><input type="checkbox"/> *.zip;</p> <p><input type="checkbox"/> *.rar;</p>
<p>ფურცელზე წერის შემთხვევაში მონიშნეთ შესაბამისი</p>	<p><input type="checkbox"/> სრულად ფურცელზე</p> <p><input type="checkbox"/> ფურცელზე და კომპიუტერში</p>



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმი

ეს ოქმი ადასტურებს, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის _____

—

სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის _____ კურსის სტუდენტმა _____

_____ დაარღვია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესის მე-5 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, მან: _____

დარღვევის დრო: _____ საათი და _____ წუთი
გამოცდის თარიღი: _____

გამოცდის საგანი: _____

საგნის ლექტორი _____

დამკვირვებელი: _____



წერიტი ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი

ერთი მხრივ, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი (შემდგომში - „გადამცემი“) _____ ვადასტურებ, რომ გადავეცი, ხოლო მეორე მხრივ _____ საგნის ლექტორი _____ (შემდგომში მიმღები“) ვადასტურებ, რომ მივიღე რეგისტრირებული _____ ნაშრომიდან _____ ცალი.

გადამცემი

მიმღები

თარიღი